ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **21 ოქტომბერი, 2022 წელი**

15:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - **ნატული დვალიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი: ნატული დვალიშვილი, ნათია ძოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თეონა ადეიშვილი, მარინა ღვინიანიძე, ლანა გოგოძე, გელა ჩიკვაიძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, მიხეილ სვანაძე, ივანე მამფორია, გვანცა სიგუა, თამაზი თავაძე, გურანდა გვანცელაძე, ლელა ჩიკვაიძე, ნანა ლილუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, ბესიკი გველესიანი, გიორგი ტყეშელაშვილი, გოჩა ჭუბაბრია, ნატო დვალი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-ნატული დვალიშვილი (თავმჯდომარის-გიორგი ივანიაძის არყოფნის გამო). მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის გაცნობის შესახებ;

   მომხს: სალომე ფახურიძე

2. ოჯახში ძალადობის პრობლემების პრევენციის კუთხით პედაგოგებთან მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

   მომხს: გურანდა გვანცელაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

   მომხს: სალომე ფახურიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტი გააცნო.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „მოგეხსენებათ სტრატეგიის პროექტი განხილულ იქნა წინა სხდომაზე, თუმცა დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დოკუმენტში გარკვეული ცვლილებები და დამატებები შევიტანეთ, რათა სტრატეგია იყოს დახვეწილი, მოქნილი და ადგილობრივ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია (შემდგომში-სტრატეგია) განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

სტრატეგია წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო

გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს და მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელებისაკენ.

სტარტეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ასევე სტრატეგია ეფუძნება ერთიან, კომპლექსურ მიდგომას, რომლის თანახმად, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი ინტერესების შესწავლას, თანაბრად წარმოჩენასა და გათვალისწინებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვანის მუნიციპალიტეტის სამსახურების საქმიანობის პროცესში უზრუნველყოფენ გენდერული ასპექტების გათვალისწინებას, გენდერული თანასწორობის დაცვას და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისთვის საჭირო გარემოს შექმნას.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგია ასახავს იმ მნიშვნელოვან საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება პირველ რიგში გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ სოხუმის მიერ განხორციელებულ პროექტის *„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“* ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგისთვის ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარებულ კვლევას, რომელმაც გამოავლინა:

1. **ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროება,** რაც მოიცავს:

   ა) ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფას;

   ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალურ პროგრამების და პროექტების დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას;

   გ) კულტურუს, განთლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას;

დ) გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში;

2. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა;
3. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგიის პროექტის განხილვის შემდეგ მომხსენებელმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რათა წარმოედგინათ მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ასეთის არსებობის შემთხვევაში, საბჭოს წევრების მხრიდან პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა და საბჭომ სრული შემადგენლობით მხარი დაუჭირა დოკუმენტის საბოლოო ვერსიას და მიიღო გადაწყვეტილება ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია გავიდეს საკრებულოს შესაბამის კომისიაზე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართი: N2/

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გენდერული საბჭოს წევრმა, „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი სოხუმის“ წარმომადგენელმა-გურანდა გვანცელაძემ ოჯახში ძალადობის პრობლემების პრევენციის კუთხით ვანის მუნიპალიტეტის პედაგოგებთან მოსწავლეებთან და ზოგადად სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთნ მუშაობის მნიშვნელობაზე და ამ კუთხით გენდერული საბჭოს, მუნიციპალიტეტის მერიაში ახლად შექმნილ მერიის ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების როლებზე ისაუბრა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 20 სექტემბერს ვიმყოფებოდით ზედა ვანის საჯარო სკოლაში, სადაც ადვოკატირების ჯგუფის მიერ დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები, უფროსკლასელები, მერიის ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომლები და გენდერული საბჭოს მდივანი.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია არსებული განყოფილებების სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ. ასევე გავაცანით ის მიგნებები, რაც ამ განყოფილებების მუშაობის მონიტორიგის შედეგად გამოვავლინეთ. მონაწილეთა მხრიდან ღიად

დაფიქსირდა, რომ ასე სიღმისეულ ინფორმაციას არ ფლობდნენ არსებული ჯგუფის შესახებ და უკვე იციან რა დროს უნდა მიმართონ მათ.

ამ შეხვედრაზე ასევე გამოიკვეთა გენდერული საბჭოს როლი, მათზე ინფრორმაციის გავრცელების კამპანიაში აქტიური ჩართულობის კუთხით.

გამოიკვეთა სკოლებისა და განყოფილების თანამშრომლობის საჭიროების საკითხი, რაც გააუმჯობესებს მოწყვლადი მოზარდების მდგომარეობას.

აქვე დავძენ, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ადგილობრივ სკოლებთან ვითანმშრომლებთ, რათა მოვახდინოთ პრობლემის იდენტიფიცირება და მასზე ეფექტური რეაგირება ოჯახში ძალადობის პრობლემების პრევენციის გზით.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა კერძოდ, აღნიშნა, რომ „25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღესთანთან დაკავშირებით ძალადობის წინააღმდეგ

დღის წესრიგის მესამე საკითხს უყარეს კენჭი.

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: საბჭომ ერთხმად დაამტკიცა გენდერული საბჭოს სამუშაო ჯგუფი 10 წევრის შემადგენლობით.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

10.05.2022 წ.